

ღია ტიპის სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოთა
სამართლებრივი როლი და მოვალეობები ერთსაფეხურიანი
კორპორაციული მართვის სისტემაში

ნიკა აბაგელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოქვეყნებულად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნიკა აბაკელია

21/06/2018

აბსტრაქტი

ერთსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემის არსებობის პირობებში სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოების სამართლებრივი როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, მისი სწორი შეფასება, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საკორპორაციო სამართალში. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი კორპორაცია სრულად დამყარებულია მმართველობით ორგანოებზე. მმართველობითი ორგანოების სრულყოფილად ფუნქციონირება პირდაპირ არის დაკავშირებული კორპორაციის, როგორც ერთი მთლიანი სუბიექტის ფუნქციონირებასთან. ძლიერი, სტაბილური საწარმოთა ფუნქციონირება კი პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. შესაბამისად საკითხის ფართო ჭრილში განხილვის შემთხვევაში იგი სცილდება, როგორც ერთი კონკრეტული კორპორაციის პრობლემას და შეიძლება განვიხილოთ, როგორც გაცილებით უფრო ფართო მასშტაბის პრობლემა.

წინამდებარე ნაშრომი ემსახურება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებული იურიდიული ლიტერატურის გამდიდრებას. იგი გარკვეულწილად სიახლეს წარმოადგენს, რადგან ნაშრომში განხილული კორპორაციული მართვის ერთსაფეხურიანი სისტემის არსებობის შესაძლებლობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში გაჩნდა 2008 წლის 14 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად. კორპორაციული მართვის ეს სისტემა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ დამკვიდრებული საქართველოში, შესაბამისად ნაკლებად მოიპოვება იურიდიული ლიტერატურა, სადაც განხილული იქნება აღნიშნული კორპორაციული მართვის სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გაანალიზებული იქნება ის საფრთხეები, რომელიც შეიძლება კორპორაციის აღნიშნული მმართველობის სისტემაზე დამყარებამ გამოიწვიოს.

საკვანძო სიტყვები: სააქციო საზოგადოება, კორპორაცია, კორპორაციული მართვა, საწარმო, მმართველობითი ორგანო.

Abstract

Determining the legal role and importance of the joint management bodies in the conditions of one-step corporate governance system and its correct assessment is one of the problematic issues in the corporation law. The issue is relevant so far as any corporation is fully supported by the governing bodies. The functioning of the executive bodies is directly related to the functioning of the corporation as one whole entity. The functioning of strong and stable enterprises directly affects the country's economy. Accordingly, in case of consideration in the broader context of the issue, it goes beyond the problem of one particular corporation and can be considered as a problem of a much larger scale.

The present paperwork serves to enrich the existing legal literature on the issue. At some point, the possibility of one-step corporate system of corporate governance is novelty, because it has been introduced in the Law of Georgia on Entrepreneurs as a result of the legislative amendments adopted on 14 March 2008. This system of corporate governance is not yet widely established in Georgia, and therefore less legal literature is considered where the advantages and disadvantages of the corporate management system are discussed and analyzed the threats that could lead by a corporation's governance system.

Key Words: Joint stock Company, Corporation, Corporate Management, Enterprise, The governing body.